# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 87
წელიწადი მეორე
1913
კვირა, 23 ივნისი.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ“.

ტელეფონი № 149.



მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისთვის ყოველდღიურ გაზეთზე
წელიწადი მეორე **იმერეთი**
1913

გაზეთის ფასი:
ერთი წლით . . . 7 მანეთი.
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი,
ერთი თვით . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა—სამი მანეთი.
**განცხადების ფასი**: პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.
გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: **Кутаисъ. редакція газеты ИМЕРЕТИ“**

სხვანაირათ გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.


კვირას, 23 ივნისს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

**თავ. დავით გრიგოლის ძის წულუკიძის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ განსვენებულის ხსოვნის პატივისმცემელთ თ-დნი **ანტონ გრიგოლის ძე წულუკიძე და შალვა ანტონის ძე მიქელაძე**. წირვა დაიწყება დილის 9 ნახევარ საათზე, პანაშვიდი—11 საათზე.

კვირას, 23 ივანობისთვეს, საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა ($9^1/_2$ ს.) და პანაშვიდი (11 ს.) საზოგადო მოღვაწის

**თ. დავით გრიგოლის ძის წულუკიძის**

სულის მოსახსენებლათ, რასაც მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკის გამგეობა და მოსამსახურენი აუწყებენ განსვენებულის პატივისმცემელთ.


## ქართული თეატრი.

კვირა, 23 მაისი.

**„ქართული ნადიმი“ (კაბარე)**

1 განყოფილება.
ნადიმზე მოწვეულთა ბაღში სეირნობა; სცენები ექსპრომტათ, სიმღერა და ცეკვა.
2 განყოფილება.

**ქართული სუფრა.**

...რული იუმორი: სცენები, არაკები, ლექსები, გამოცანები, სიმღერა (რომანსები და ხორო).
...ნაწილეობას მიიღებენ: გრიგოლ რობაქიძე, დათიკო მესხი, პეპინია მიქელაძე, ნიკო ...ვა, დათიკო მიქელაძე, დათიკო ფალავა (цыганскіе романсы), ნემო, პ. ლეჟავა, ..., მ. გაწერელია, ა. გუგუშვილი, კ. ტყემალაძე. გ. გიგინეიშვილი, ვ. მჭედლიძე, ზ. ჩუბინაშვილი და სხვ.

ნინო საყვარელიძის ასული იმღერებს რუსულ და ქართულ რომანსებს.

— დასაწყისი საღამოს 9 საათზე —


## მოწამეთის მონასტრის წინამძღვარი

...ით აცხადებს, რომ პირველ ივლისს ხსენებულ მონასტერში მოხდება ...ვარო ვაჭრობა ქ. ქუთაისში არსებული სამონასტრო ორსართულიანი ...ობის საფუძვლიანათ შეკეთებისათვის
მსურველთ დაწვრილებით ცნობების მიღება შეუძლიათ მონასტერ..., ხაზინადრისაგან.


ფარნა ბეჟანის ძე გაბუნია

ქუთაისი

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე საპარტიო საწყობი ფართლეულობისა და რეზინის კალოშებისა

# გადავიტანე

საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქუჩაზე, წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ.

მიღებულია დიდძალი საქონელი, იყიდება პარტიით და წვრილათ.

პატივისცემით: **ფარნა ბ. გაბუნია.**

ქუთაისი.

პაემზე დამყარებული ამხანაგობა

**კირაკოზოვი & ზ. გ. ოგანოვი.**

გაზაფხულისა.

**და ზაფხულის სეზონი**

ტრიკო, კასტორი, დიოგონალი, ჩესუნჩა, რაგოჟი, ტილო, პარუსინა, ბატისტა, კისეია, შემიზი, ჩითი.

პოპლინი, მესალინი, ჟივრონი, ლიბერტი, ლევანტინი, სტოლსაფრები, „პოკრივალო“, პირსახოცი, ხელსახოცები, მადაპალამი, ლანკორტი.

## ქალთა პროგიმნაზია

მარიამ კვინიხიძის ასულისა

გადავიდა იმავე თფილისის ქუჩაზე ობორინის შესახვევის კუთხეში. გამრეკელის შენობაში.

მოწაფეების მიღება დაიწყება ყველა კლასში 15 აგვისტოდან.

**მოსკოვის** უმაღლეს ქალთა ინსტიტუტ დასრულებული ემებს გაკვეთილებს ყველა საგნებში საშვალო სასწავლებლებში მოსამზადებლათ; იცის თეორეტიულათ გერმანული ენა: **მისამართი**; მესამე ალექსანდრეს ქ. შესახვევში № 4 სახლი კანდელ...ისა.

**ექიმი** ვ. ი. ფეშინი ქირურგიული და საშარდე სნეულება ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი. გოშპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

**იყიდება**

ქუთაისში „პოდგორნი“ ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.
მისამართი: „პოდგორნი“ ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

**ექიმი** ვალერიან ლორთქიფანიძე თფილისში გამგზავრების გამო, ექიმთა კრებაზე დასასწრებათ ამ თვის 24 რიცხვამდი ვერ მიიღებს ავათმყოფებს და ვერც საანალიზო მასალებს შესამოწმებლათ.

კბილის **ექიმი** ანა ბუტულოვის ასული გადავიდა ახალ ბინაზე: ბუშკინის ქუჩა სახლი ჯანელიძისა ქალაქის საბჭოს პირდაპირ და წმ. ნინოს დედათა სასწავლებლის გვერდით

**ექიმი** ვ. ა. ჭოლოშვილი აცხადებს, რომ ავათმყოფების მიღება განაახლა. მისამართი მწვანე ბაზარი, საკუთარი სახლი.

**ექიმი ა. მ. ას. თიანი** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგან ქალთა სნეულებს და ბავშებს**) ახალ ბინაზე. ქარვასლის ქ. კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ. რადიუმის გვერდით ჩილინგაროვის სახლი.

**ექიმი** ვ. ა. **ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

**ექიმი** შინაგან სნეულებათა **ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს. საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

**ექიმი** კ. თ. **ტყეშელაშვილი.** ათი აპრილიდან ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

**ექიმი ი. ჩარექოვი**
ხუთ ივნისიდან მიიღებს **კანის და ვენერიული ავათმყოფებს ახალ ბინაზე.**
გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.


## დღიური

— რუსეთმა სოფიასა, ბელგრადსა და ათინაში თავის ელჩებს შეუთვალა, მოსთხოვეთ მთავრობას—საომარი მოქმედება შეაჩეროსო.

— ცნობაა—სოფიადან კაცი მოვიდა პეტერბურგს და რუსეთის მეფეს, მეფე ფერდინანდის წერილი მიართვაო.

— ბულგარეთის ჯარს ებძანა საომარი მოქმედება შეაჩერეთ და მხოლოდ იმ შემთხვევაში იბრძოლეთ, თუ თავს დაგესხმიანო.

— საბერძნეთის ჯარის უფროსმა ბძანება გასცა—იერიში მიიტანეთ ბულგარეთის სიმაგრეებზეო.

— ხმაა, ვითომც ბალკანეთში საომარი მოქმედება შეეჩერებიოთ მართალი არ გამოდგა.

— რუმინიის მეფემ რუმინიაში ჯარის მობილიზაციის შესახებ ბძანება გამოსცა.

— ოსმალეთმა წინადადება მისცა ბულგარლებს მეწამული ზღვის უკანონოთ დაკავებული ნაპირები გაწმინდეო.

— ჩეხიის რადიკალებმა გადაწყვიტეს ბრძოლა გამოუცხადონ პროექტს, რომლის მიზანიც ჩეხიის ავტონომიური მართველობის მოსპობა და მთავრობის კომისიის დანიშვნაა.

— ბერძნებმა 19 ივნისს კალჩიკი აიღეს.

— ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს იმ ცნობას ვითომც სერბიელებს გაემარჯვოთ.

— ესპანიის მეფისკენ მადრიდში ქუჩაზე უცნობი კაცი გაექანა. იგი შეიპყრეს. ჯიბეში შუშის ნამტვრევები აღმოაჩნდა.

— ესად-ფაშა რომს მიდის.

— სალონიკში საბერძნეთის მეფე მოვიდა, რომ ჯარს მთავარი სარდლობა გაუწიოს.

— კუკუშის მახლობლათ ბერძნებმა სძლიეს ბულგარლებს.

— ომი ოფიციალურათ არ გამოცხადებულა, მაგრამ მაკედონიაში ბულგარლები სერბიელებსა და ბერძნებს თავს ესხმიან.

— მთავრობის განკარგულებით სტამბოლში სამხედრო და საზღვაო შკოლების მრავალი მოწაფე დააპატიმრეს.

— რუმინიიდან დობროჯში ორი პოლკი ჯარი გაგზავნეს.

— მონგოლეთში ხუტუხტამ ბძანება გასცა და სამხედრო ბეგრის მოხდა შემოიღო.

— პეტერბურგში სლავიანთა კრება მოხდა, რომელმაც ბულგარეთსა და სერბიას მომხდარი ამბების გამო პროტესტი გამოუცხადა.

## ჩვეული ჰანგები.

26 მაისს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე ერთერთმა აზნაურმა გააცხადა—სუბსიდია მისცემოდა აზნაურობისგან სახელმწიფო საბჭოს წევრს ანდრია ერისთავს. ხსენებულ აზნაურს ის გარემოება მოყავდა საბუთად, რომ თ-დი ერისთავი აზნაურთა საქმეების მოგვარებას ხშირათ ცთილობს და უმაღლეს წრეებში თხოვნების „პროტექეთ“ გამოდისო...

არ გაეთავებია ამ აზნაურს თავისი სიტყვა, რომ მეორემ წარმოსთქვა:—თუ აგრეა ვ. გელოვანსაც დავუნიშნოთ რამე, იგიც შეიძლება დაგვეხმაროსო!..

გაზეთი „რუსკოე სლოვოს“ ქუთაისელმა კორესპონდენტმა არც აცივა არც აცხელა და ეს ამბავი შემდეგი მრავალმნიშვნელოვანი სათაურით მოათავსა ხსენებულ გაზეთში:—„სუბსიდია აზნაურთა დეპუტატებსო“ და სხ.

რომელიმე უვიცსა და ძველ წოდებრივ ტრადიციათა მიმდევარ აზნაურს რო წამოსცდენოდა ამგვარი რამ, ეს არც ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა იქნებოდა და ჩვენც ნაზარეველსავით ვეტყოდით:—უფალო მიუტევე, რამეთუ არა იციან რას იქმიან... მაგრამ გელოვანის აზნაურთა დეპუტატათ ალსარება ანდრია ერისთავთან ერთად მოლიბერალო გაზეთის „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტის მიერ, ეს ერთი იმ უხეირო და სუსტი მუჯლუგუნთაგანია, რომლითაც ბ-ნი გელოვანის დეპუტატათ არჩევას შემდეგ არა ერთხელ

და ორჯელ გაგვმასპინძლებიან ერთი ჯურის ვაჟბატონები... განა ღირს კი უარყო კაცმა ის ბრალდება, რომელიც ხსენებულმა კორესპონდენტმა ქართველი დეპუტატის წინააღმდეგ წამოაყენა; ან შეიძლება „ავათმყოფობის შედეგის“ გარდა კაცმა სხვა სახელიც უწოდო ასეთ სიმახინჯეს კორესპოდენტისას იმ დეპუტატზე, რომელიც სათათბიროს უკიდურესი მემარცხენე ჯგუფის წარმომადგენელია? სად არის სირცხვილო სიწითლე შენი? ძველი, გაცვეთილი, ჩვეული ჰანგებია... პირველათ არ გვესმის ბ-ნი კორესპოდენტისა და კომპანიისგან, ასეთი რამ, ეს არის მთავარი არგუმენტი გელოვანის წინააღმდეგ ზოგიერთ უვიც ამომრჩეველთა თვალის ასახვევათ: დეპუტატი გელოვანის თავადობა...

საწყენი რუსეთის პრესის ერთერთი თანაწევრის „რუსკოვე სლოვოს“ შეცთომაში შეყვანაა, თვარა იმგვარი ჰანგები ვერავის ვერაფერს აწყენს... იძულებული ვართ, შევეჩვიოთ და გულგრილათ გადავიტანოთ თავხედთა დემაგოგიური ოინები. ხომ გაგიგონიათ: „წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო“ და მით უფრო საცოდავები არიან ხსენებული გმირები, რომ ხავსიც კი ხელიდან გამოუცურდათ და ცხოვრების მღვრიე ტბაში ელვის სისწრაფით იძირებიან... **იმერი.**

# ახალი ამბავი

აბრეშუმის პარკის ბაზარი. ქუთაისში საზოგადო ბაზარზე 12 ივნისიდან შეუდგა მოქმედებას კომისია. კომისია ხუთი კაცისაგან შედგება და ფხიზლათ ადევნებს თვალყურს პარკის წონას. კომისიის წევრები საზოგადო სასწორზე თვით სწონიან პარკს, ანგარიშობენ მისაცემი ფულის რაოდენობას და „კვიტანციებს“ აძლევენ. კომისია გარდა ზემოაღნიშნულ მოვალეობის ასრულებისა თვალყურს ადევნებს, რომ პარკის მყიდველებმა გარეშე საზოგადო სასწორისა პარკი არსად ასწონონ.

✦ გუშინ, ქუთაისის ბაზარზე იყიდებოდა პარკი შემდეგ ფასათ. პირველი ხარისხის პარკი 17 მ. მეორე—15 მ. 10 შაურათ 16 მ., მესამე—14 მ. და 14 მ. 10 შაურათ.

✦ პარასკევს საღამოს დრამატიული საზოგადოების მორიგ კრებაზე კვლავ მცირე რიცხვოვანი საზოგადოება მოგროვდა, სხდომა მაინც შესდგა ბ. ი. ჩიმაკაძის თავჯდომარეობით. წაიკითხეს გამგეობის მოხსენება, სარევიზიო კომისიის ანგარიში. კრებამ დაამტკიცა გასული წლის ხარჯთაღრიცხვა და მცირე კამათს შემდეგ, კრება სამშაბათისთვის (ზეგ) გადაიდვა ახალ გამგეობის ასარჩევათ და საბოლოოთ იმის გამოსარკვევათ—ეყოლება თუ არა ქუთაისს მომავალ სეზონში დასი.

✦ დღეს ქალაქის თეატრში მეტად საინტერესო საღამო იმართება. იქნება კამათი საამდროო საჭირბოროტო კითხვებზე, სიმღერა, მრავალსიტყვაობა, გამოცანები, ლექსთა კითხვა, ცეკვა-თამაში, ქართული სუფრა, „ტოსტები“—სუფრის სიტყვები და სხვ. და სხ.

✦ ამ დღეებში ბათომიდან ქუთაისში ჩამოვიდა ღვდელი ჩხიკვაძე. მას მინდობილი აქვს ბათომის ქართული ეკლესიის სასარგებლოთ შემოწირულობა შეკრიბოს.

✦ ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ჟურნალი „ოქროს ვერძი-ს“ შემდეგი ნუმერი სამშაბათს, 25 ივნის გამოვა.

✦ დ. სამტრედიაში არსდება სამეურნეო საზოგადოება. წესდების შემუშავებას შეუდგენ.

✦ რამდენიმე ახალგაზდას განზრახვა აქვს მოაწყოს ექსკურსია რაჭა-ლეჩხუმსვანეთის დასავლელათ. მსურველთ შეუძლიანთ „იმერეთის“ რედაქციაში ჩაეწერონ. მსურველები 27 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოიყრიან თავს ხსენებულ რადაქციაში.

✦ წელს ადესის უნივერსიტეტის ისტორია—ფილოლოგიური ფაკულტეტი შემდეგმა ქართველებმა გაათავეს პირველი ხარისხით: ვ. დემურიამ, გ. კვიცარიძემ, კ. ქავთარაძემ, გ. ლორთქიფანიძემ და ილია ცეცხლაძემ. მეორე ხარისხით: მ. კობახიძემ და გ. სამსონიამ.

✦ სოფ. დაბლა ქვიტირში ერმილე ჩოგავაძის მეუღლეს სამი ბავში შეძენია ერთად, ორი ქალია და ერთიც ვაჟიო.

✦ 21 ივნისს იოსებ შავგულიძის ოჯახში ღამით ქურდები შეიპარენ. წაიღეს ტანისამოსი და საცვლები. საქმეში მაძებარი ძაღლებიც ჩარიეს, მაგრამ ქურდები ჯერ არ ამოუჩენიათ.

✦ 1-დან—3-დი ქუთაისში მოხდება მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. სასურველია, კრებას იმ საზოგადოებათა წარმომადგენლებიც დაესწრონ, რომელთა წესდება ამ უკანასკნელ დღეებში დამტკიცდა და რომელთა მოქმედება ჯერ არ დაწყებულა. კრება საერთო მოქმედების პლანსა განიხილავს. 3 ივლისს ბიუროს გამგეობის წევრთა არჩევანი მოხდება.

✦ დღეს, 23 ივნისს სოფ. ჰრებალოში ადგილობრივი მომხმარებელი საზოგადოების კრებაზე ბ-ნი ი. გაბილაია ლექციას წაიკითხავს.

✦ რედაქციას მოუვიდა ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოებას 1912—13 წ. მოქმედების ანგარიში.

✦ რედაქციამ მიიღო წ.-კითხვის საზოგადოების მიერ გამოცემული „საყმაწვილო მოთხრობანი“ მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილისა. წიგნი მეორეთაა გამოცემული, პირველზე უფრო შევსებული და ღირს ექვს შაურათ.

✦ 1912—13 წ. სეზონის განმავლობაში ქუთაისის დრამატ. საზოგადოებას დეფიციტი ქონია 6902 მანეთი და 44 კაპ. ე. ი. ყოველ წარმოდგენაზე 160 მანეთი და 15 შაური.

✦ ლანჩხუთის მცხოვრებლებმა აქიმს. ხეჩინოვს სთხოვეს კვირაში ერთხელ პარასკეობით ევლო დ. ლანჩხუთში და ავათმყოფები მიეღო. ხეჩინოვმა საზოგადოების რწმუნებულს ნდობისათვის მადლობა შესწირა, მოუცლელობის გამო უარი გაუცხადა და ურჩია აქიმი დიომიდე ფანცხავასთვის ეთხოვათ. ფანცხავამ თანხმობა განაცხადა და ხუთი ივლისიდან პარასკეობით ლანჩხუთში ავათმყოფებს მიიღებს.

✦ 21 ივნისს ქუთაისის სამოქალაქო სასამართლოში პ. კანდელაკის საქმე გაირჩა, რომელსაც ქალაქის აფთიაქის ყოფილი მოწაფე ს. ჩაჩიბაია ცილისწამებას უჩიოდა. სასამართლომ კანდელაკი გაამართლა, ბ-ნი ჩაჩიბაიას საქმე კი პირველი განყოფილების გამომძიებელს გადასცა ქალაქის აფთიაქში ყოვნის დროს ბოროტმოქმედების ჩადენის გამო.

✦ მდგომარე 1912—1913 სასწავლო წელს ქუთაისის სააზნაურო ქართული გიმნაზიის კურსი შეასრულა 67 მოსწავლემ; მათი სახელი და გვარები: ნიკოლოზ აბესაძე, გიორგი აბულაძე, პავლე აბულაძე, არკადი არდიშვილი, პროკოფი ახვლედიანი, ამბროსი ბახტაძე, დავით ბერეკაშვილი, იასონ გაბუნია, გიორგი გამყრელიძე, ვლადიმერ გაჩეჩილაძე, მოსე გობრონიძე, შალვა გოგორიშვილი, ანდრია გუგუშვილი, ნიკოლოზ დადეშკელიანი, ბენედიკტე ბერაძე, არჩილ დადიანი, ლეონტი ელიზშვილი, ერმალოზ ვაჩაძე, შალვა თაბუკაშვილი, იროდიონ თოფურიძე, ივანე იოსავა, გიორგი კანდელაკი, ალექსანდრე კარტოზია, სერგი კლდიაშვილი, ირაკლი კლდიაშვილი, ვარლამ ლეშკაშელი, იოველ ლორთქიფანიძე, შალვა ლორთქიფანიძე, სამუილ მარგველაშვილი, გიორგი მასხარაშვილი, სიმონ მაჭავარიანი, მიქაელ მღებრიანცი. გრიგოლ მეძმარიაშვილი, მალაქია მჟავანაძე—მიქელაიშვილი, შალვა მიქელაძე, მიხეილ მხეიძე, ბესარიონ მჭედლიძე, ალექსანდრე ნადირაძე, დავით ნაზემცოვი, თევდორე ნაცვლიშვილ, გრიგოლ ნიკოლაიშვილი, ბიქტორ ნოზაძე, ნიკოლოზ ოჰანეზიანც, გრიგოლ პატარაია, ილარიონ ჟღენტი, დავით ჟორდანია, შალვა სანებლიძე, მიხეილ ტყავაძე, გიორგი ფაღავა, ივანე ფაღავა, ლევან ფაღავა, სევერინ ფაღავა, გრიგოლ ფხალაძე ისაია ყიფიანი, ივანე ყიფიანი, ტერენტი ყურაშვილი, ალექსანდრე შავნგირაძე, პლატონ შუშანია, ივანე ჩიგოგიძე, ეფრემ ჩახუნაშვილი, ალექსანდრე ცინცაძე, სამსონ წერეთელი, თემურაზ წერეთელი, მიხეილ ჰავჰანიძე, ალექსანდრე ჰირაქაძე, ვალერიან ჰიჰინაძე და ამბერკი ჯიბლაძე.

## ქართველი სტუდენტობის ანკეტის გამო.

როგორც მკითხველმა საზოგადოებამ იცის, წელს, პეტერბურგის სამეცნიერო წრემ, ქართველ სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევათ ანკეტა მოახდინა. სიამოვნებით უნდა ავნიშნოთ, რომ ანკეტას ჩვენი სტუდენტობა თანაგრძნობით შეეგება და ეს იმიტომ, რომ სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამორკვევა, მათ სულში ჩახედვა, მათი ნამდვილი სახის დანახვა საინტერესოა როგორც თვით სტუდენტობისათვის, აგრეთვე საზოგადოებისთვისაც. ანკეტის საშვალებით არკვევენ სტუდენტობის ცხოვრებას დასავლეთ ევროპაში, ამავე საშვალებას მიმართავენ ხოლმე რუსეთში ამა თუ იმ საუნივერსიტეტო ქალაქის სტუდენტთა მდგომარეობის მათ ცხოვრებისა და საერთო ხასიათის გასაცნობათ.

თუ რამდენათ მიაწევს მიზანს ზემოხსენებული ქართველი სტუდენტობის ანკეტა, ამის შესახებ დანამდვილებით არ შეიძლება ითქვას რა. ამის დაფასება მხოლოდ მაშინაა შესაძლო, როცა დამუშავებულ ანკეტას ვიხილავთ. ახლა კი შევვიძლია მკითხველს გავუზიაროთ ჩვენი აზრი თვით საანკეტო ფურცლის შესახებ.

საანკეტო ფურცელი, რომელიც დაურიგდა როგორც რუსეთის, აგრეთვე საზღვარ გარეთელ სტუდენტობას, შესდგება 15 კითხვისაგან. ჩვენ არ შევეხებით ამ კითხვებს, რომელთაგან, მართალი რო ვსთქვათ, არც ერთი ზედმეტი არ არის. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ის კითხვები, რაც საანკეტო ფურცელში არ მოიპოვება და რასაც სტუდენტობის დასახასიათებლათ, მათი ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევათ დიდი მნიშვნელობა აქვთ. მართალია, საზოგადოთ ანკეტის ღირსება ისაა რომ საანკეტო ფურცელი უნდა იყოს შედგენილი მკაფიოთ, გარკვევით, ერთისა და იმავე სახის კითხვა არ უნდა მეორდებოდეს და კითხვების რაოდენობაც, მარტივი იყოს, მაგრამ თუ კითხვები ყოველმხრივი არ არის, თუ კითხვები იმდენათ ცოტაა, რომ გამოსარკვევი ობიექტი სრულად არ ხასიათდება, ცხადია, ანკეტას შესაფერი ღირსება არ ექნება. კითხვების სიმცირე დამმუშავებელთაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს, რადგან, თუ კითხვები სრული და ყოველმხრივი არ იქნება, არც პასუხი იქნება სასურველი, მასალა თუ არ არის, რა უნდა დამუშავდეს?

პირველათ უნდა ავნიშნოთ, რომ საანკეტო ფურცელში არაა ცალკე მუხლი შესახებ ეროვნული საკითხისა. მარტო ამა თუ იმ მიმართულების თანაგრძნობა ჯეროვნათ ვერ არკვევს იმას, თუ როგორ ეპყრობა ჩვენი სტუდენტობა ეროვნულ თვითშეგნებას: თანაუგრძნობს ქართველი ეროვნების თავისუფალ განვითარებას, სეპარაციის მომხრეა, ასიმილიაციის, გულგრილათ ეკიდება ამ საკითხს, თუ როგორ სჭრის. რომ ამ კითხვის გამოცალკევება საჭირო იყო, ამას განმარტება აღარ ესაჭიროება. საკმარისია გავიხსენოთ, თუ როგორი სხვადასხვაობაა ჩვენს მოწინავე ინტელიგენციაში ეროვნული საკითხის შესახებ და თავის თავად ცხადია, სტუდენტობის ყოფა-ცხოვრების გამოსარკვევ საანკეტო ფურცელში რომ ეს კითხვა დასმულიყო, იქაც არა ნაკლებ სხვადასხვაობას ვნახავდით.

ზედმეტი არ იქნებოდა აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა ენაზე აზროვნობს [...] პარაკობს ჩვენი სტუდენტობა. ეს [...] პირველი შეხედვით თითქოს არაა [...] რადღებო, მაგრამ რო დააკვირდე[...] დი მნიშვნელობა აქვს. ყველამ [...] იცის, თუ რა ხასიათს იღებს ჩვენ[...] ტელიგენციაში რუსულ ენაზე ს[...] ხაოტერესო იყო გაგება იმისი, თუ [...] დენათ აქვს ფესვი გადგული ამ [...] ნას ქართველ სტუდენტობაში.

საანკეტო ფურცელში არ მოი[...] კითხვა, თუ რამდენათ გავრცელე[...] ქართველ სტუდენტობაში ლოთობა[...] მენ თუ არა ისინი მაგარ სასმელე[...] რეთვე კითხვა იმის შესახებ, თუ რ[...] ლოვნება (თეატრი, მუსიკა, მხატ[...] და სხვა) და გასართობი (გიმნასტ[...] დობა, ველოსიპედი, ცხენოსნობ[...] ლით ტარება) აინტერესებს მას.

საყურადღებო და საინტერესო [...] ბოდა სტუდენტობის აზრი თვით[...] ლობაზე: თუ დაბადებიათ მათ ეს [...] რას გამოუწვევია და რა შეხედ[...] არიან ამაზე, აგრეთვე მათი აზრი ს[...] ნოებაზე და ქალთა თანასწორობ[...] სახებ...

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კით[...] ცოტა შევსებით და რამდენიმე [...] დამატებით, საანკეტო ფურცელში [...] თავსებულ კითხვებთან ერთად, ს[...] დაგვიხასიათებდა ქართველ სტუდ[...] ბას, გვიჩვენებდა მათ ნამდვილ ფ[...] ნომიას.

რაკი საანკეტო ფურცლის ნაკლ[...] მოვთვალეთ, არ შეიძლება ითქვას, [...] ანკეტას დიდი მნიშვნელობა არ [...] თუ სავსებით არა, დაახლოებით [...] გაგვაცნობს ქართველ სტუდენტობა[...] ჩვენებს მათ სახეს, მათ მისწრაფება[...] უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქართველ[...] დენტობის ანკეტას პირველათ ახდე[...] ტერბურგის სამეცნიერო წრე და პ[...] ცთას ცოტა ნაკლულევანებაც რო[...] ნეს, გასაკვირალიც არ არის. [...] შემთხვევაში პეტერბურგის სამეც[...] წრე დიდი მადლობის ღირსია რომ [...] ველათ იკისრა ეს საქმე და ხარჯი და [...] მა არ დაზოგა. განსაკუთრებით მა[...] ბის ღირსია წრე თვით სტუდენტ[...] გან, რომელნიც თვისი გათვითცნო[...] ბით თვითონ უფრო დაინტერეს[...] არიან ვიდრე სხვანი.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, [...] ანკეტის გამოქვეყნებასთან ერთად [...] ქვეყნდება ზოგიერთ პუბლიცისტთა[...] რის სიმრუდე, რომელნიც ახლა[...] სტუდენტობაზ ძალიან სკეპტიკურა[...] ქერიან. სტუდენტების ცხოვრე[...] ორიოდ მაგალითის ამოღებით მ[...] სტუდენტობისა ან და სტუდენტთა [...] რავლესობის დახასიათება ყოვლად [...] ძლებელი და შეუწყნარებელია.

ვნახოთ, რას გვიჩვენებს სტუდე[...] ბის თვით დაფასება—რას გამოარ[...] ანკეტა!..

**ივ. ჩხარე[...]**

---

# თანამედროვე „დონ-ჟუანი“.

(მეგობრის ნაამბობი).

## ა.

— ამ ერთი წლის წინათ—ზაფხულზე ერთ ცნობილ აგარაკზე წაველი დასასვენებლათ და ჯანსაღობის მოსაკრებათ. საღამო იყო, როცა ჩემი მეგობრის ბინას მივადექი, სადაც მასთან ერთად უნდა მეცხოვრა. ხეხილებითა და სხვა ხეებით გაფურჩქვნილ ბაღში შეველი, რომელიც ფერდობზე იყო გაშენებული. ბაღში ორსართულიანი სახლი იდგა, რომელშიც ალბათ სხვა მოაგარაკენიც ცხოვრობდენ, რადგან ბაღში ერთი ფუსფუსი და კისკისი იყო. გავყევი მოსილულ გზას, რომელიც სახლისკენ მიდიოდა. რამდენიმე საჟენი რომ გავიარე ხმამაღლა ლაპარაკი და სიცილი შემომესმა. - ოქროსფრათ აყვავებულ ცაცხვის ძირში ქალვაჟი ისხდენ... მათ ხმასთან ერთად ფუტკართა ბზუილი მომესმა... მობერა სიო და ყვავილთა საამო სუნში გამხვია. სახლს მივუახლოვდი. უცებ ქვედა სართულში ოთახის კარი გაიღო და კარებში ოცდაორი-ოცდასამი გაზაფხულის დღესასწაულის ძლევნი—ასული გამოჩნდა. ჯეირანივით გადმოხტა და ქლიავის ძირას გაჩერდა. წამით მომაშტერდა, გაიღიმა, დაიძრა. ბაღში სხვებთან ალბათ წასვლას აპირობდა, მაგრამ კითხვით შევაჩერე, ვსთხოვე, რომ ვანო ს—ძის ოთახი ეჩვენებია.

შავი უძირო თვალებით გადმომხედა, ტუჩი ზევით ასწია; ეტყობოდა ჩემს მიმართვას ამაყურათ შეხვდა და ანგარიშს არ უწევდა, მაგრამ ამ დროს თვით ვანომ გადმოიხედა ზევიდან და ჩემსკენ გამოექანა.

მე ასულს გულმოსული მივაშტერდი... უკან ხელები შემოედო და უტეხათ იდგა, თითქო ამბობდა:—დამშვიდდით, ნუ აღელდებით, ბ-ნო სტუდენტო, განა ჩემი ნება არაა, გასწავლით, თუ არაო“!

მე მრისხანეთ გადავხედე. მან კიდევ ტუჩი ზევით ასწია, თითქმის სახე მოიქცია, გვერდზე გადმომხედა და ნელის ნაბიჯით ხეს მოშორდა.

ვანომ ოთახში ამიყვანა. მაგრამ ჩემი პირველი კითხვა იმ ასულს შეეხებოდა.

— ჰო, მარო, მარო! უფთხილდი, სიკო!—მითხრა ვანომ.—ქალი კი არა ალქაჯია.

უფთხილდი, საშიშია... მაგრამ რა ლამაზია. სიკო.

ლამაზია, არა?!

— ჰო, ისე.—ვუპასუხე.

როცა საუბარი გავათავეთ, ვანომ ბაღში გამიწვია. უკვე მთვარე ამოსულიყო და თავის ოქროსფერ სხივებში არემარეს ხვევდა. გული მითხოვდა, რაღაც აფრთოვანებას ვგრძნობდი. ქალ-ვაჟთა გროვას მივუახლოვდით.

— ვანო, კარგი ამხანაგი მოგვსლიათ, მე პირდაპირ...

— შეყვარებული ხართ, არა?—გააწყვეტია ვანომ სიტყვა ერთ ასულს, რომელიც ვიგრძენი—მარო უნდა ყოფილიყო.

— ხა, ხა, ხა!—გადაიხარხარა მარომ. მოისმა რამდენიმე ჩვენსკენ ნასროლი სიტყვა. ჩვენ გზა განვაგძეთ.

— ვანო! კიდევ მოისმა იგივე ხმა.—შემოგვიერთდით!..

— დიდი სიამოვნებით!

მივედით. მივესალმე ყველას და იქვე ჩამოვჯექი.

მარო გვერდით მომიჯდა. თვალებში მომაშტერდა, ლაპარაკი დამიწყო, მაგრამ ერთ სიტყვას რომ ღიმილითა და კრძალვით მეტყოდა, ხუთი-ექვსი სიტყვა შხამიანი იყო. დავაკვირდი და შევნიშნე, რომ სიმწარეს შემდეგ, მისი ერთი ტკბილი სიტყვა ყველაფერს აქარვებდა. ამიტომ ყოველი ადამიანი ალბათ ჩემსავით მისით ითილისმებოდა.. დიახ, იგი რაღაც გამოუცნობელი არსება იყო; მისი სხეული საიდუმლოებით იყო მოცული; მისი სული მთელი ამოცანა იყო. ერთი სიტყვით ჩემზე იმ ღამეს მარომ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იგი ანდამატი იყო, მაგრამ საკვირველი, რადგან ერთსა და იმავე პოლიუსში, რომელიც მის სულს წარმოადგენდა, ორი ძალა ბინადრობდა ანდამატისა, და იგი ჩემს ერთი ძალის მქონე სულს, ხან მიიზიდავდა, თავის სულის ძაფებთან გადაგრისავდა, მაგრამ უცებ ირეკავდა, და ჩემი სული ტანჯვითა და სევდით შეპყრობილი უკან ბრუნდებოდა.

— ბაღში გავიაროთ!—ჩამჩურჩულა ყურში.

და სანამ წინადადებას დაასრულებდა, მე ზეზე ვიყავი და მივყვებოდი. ჩუმათ გავიარეთ რამდენიმე მანძილი, ლობეს მივადექით. მარომ ზევით აიხედა...

— რა მძულს მთვარე! რა გამოუთქმელია ჩემი მისადმი სიძულვილი!—წარმოსთქვა მარომ და თვალებში მომაშტერდა.

შორით ბულბულის სტვენა გაისმა.

— ფუ!—წამოიძახა.—ბულბული და მთვარე! როგორ მეჯავრება. წარმოიდგინეთ, როცა მწერლები შეყვარებულების ერთად ყოფნას აგვიწერენ, თუ ღამეა. უსათუოთ, ცაზე მთვარეა და სადმე ბულბული უსტვენს. მაგრამ მე ორივე მძულს, მძულს!—და კვლავ თვალებში ჩამაშტერდა...

— შენც ხომ გძულს, შენც? განა უკეთესი არაა შეყვარებულებისთვის უმთვარო ღამე. ოო, ეს ბულბული, როგორ კნავის? რა მძულს. შენც ხომ გძულს?—შემეკითხა მარო, მაგრამ სანამ რამეს თქმას მოვასწრებდი ხელი ჩამსჭიდა და ბნელ ხეივანში შემარბენია. მოლზე დავსხედით. მისი ტანი მწვავდა. მთლად ავთრთოლდი. ხელი მკლავში წავავლე. ვიგრძენი ტიტველი ხორცის შეხება და ავკანკალდი. მხარზე თავი მომადო. მისი თმა ლოყაზე მომხვდა, მომილამუნა. ტანი რაღაც ჟრუანტელმა შეიპყრო. და ხელი მომხვია. მინდოდა გულ[...] მეკრა. მაგრამ უცებ ხელიდან გამის[...] და, წამოიჭრა და განზე გადგა. ხ[...] იღებდა. ისევ მომიახლოვდა. გვერდ[...] მიჯდა. გული ამოვარდნაზე მქონდა. ხელი მომხვია.

— ხა, ხა, ხა! გადიხარხარა კვლ[...] ზეზე წამოვარდა. მე გული მის[...] და, ის მადიანათ იცინოდა. [...] ხეს მივეყრდნე. ავბუზღუნდი. ის[...] ნოდა. მე თვალებზე ხელი მივი[...] უცებ შეხება ვიგრძნე. ხელი მომხვ[...] ტუჩებში მაკოცა. ხელები მინდოდა [...] მეხვია, მაგრამ...

— მოთმინება!—მომაძახა და [...] რით ხეებში გაქრა...

გაქვავებული ვიდექი და ცხელ[...] ნით ათრთოლებულ ტუჩებს ვიწუწ[...] რომ გავლილი და ნაგრძნობი ამ[...] მცირე სიტკბო მაინც კიდევ მეგრძ[...]

## ბ.

შინ დაღვრემილი დავბრუნდი. [...] რასთან ტახტზე წამოვწექი და [...] მიერ ათვალწუნებულ მთვარის სხი[...] გახვეული, მაროს პიროვნების ამო[...] შევუდექი. მაგრამ ჩემი სული ში[...] მოთავსდა. გარეთ გამოველი და ისევ [...] მივაშურე კიდევ ვსცდილობდი [...] შევხვედროდი. ფეხაკრეფით დავსეი[...] დი ბაღში. რაღაც შრიალი მომესმა[...] რები ვცქვიტე.

გაისმა მხურვალე კოცნა..

# მწარე ფიქრები.

ბ.

...ფილა მღელვარება, ყოფილა ბრძო-... ყოფილა სასტიკი ამხედრება აბსო-...ტიზმისა და ცხოვრების აუტანელი ...ბათა წინაალმდეგ მიმართული...

...ძოლაა ცხოვრება კაცობრიობისა და ...ლო ქმნის საფუძველს ყოველი ახა-...საქმისას. ის უხსნის გზას ახალი მი-...ულებისა და თავისუფალი განვითა-...ს პროცესს...

...ო ჩვენშიც ბრძოლა, მაგრამ იგი ...არა ჩვეულებრივი, ჯერ ისტორიაში ...ბი! ის იყო საზიზღარი და სამარ-...ნო ამხედრება ქართველთა დიდი ...ის თავისივე თავის წინაალმდეგ. ...ბრძოლა შეუგნებელი, გამოურკვევე-...

...ბრძვით უსამართლობას, ვებრძვით ...ტიკეს, ვებრძვით მტარვალობასო ...ოდა ჯგუფი, რომელსაც სტიქიურათ, ...ნებლათ, ბრმათ მისდევდა დიდი ...ულესობა ქართველი გლეხობისა,— ...ო გონებას უხმობდა, უფსკრულისა-...საქანებდა იმ საწყალს ხალხს, რო-...ც მის გეგემონიის ქვეშ იმყოფებო-...

...ი იყო მტარვალი ადამიანის გონე-...მტერი თავისუფალი აზროვნებისა ...წორი გზის გამონახვისა. ის ებრძო-...ქართველი ხალხის ქართველობას, ...ეს საფუძველს კულტურისას—ეროვ... თვითშემეცნებისა და თვით გამო-...ის იდეალს.

...ქი, კუჭი და მხოლოდ კუჭიო, ეუბ-...ნენ გლეხებს, არარა არს გარეშე ...სო; ვინც ახსენებს სამშობლოს, ...ახსენებს საქართველოს, ვინც გე-...ამ საქართველოს ავტონომიისა და ...ველი ერის ულებათა აღდგენა მოი-...ვთ. ისინი რეაქციონერებია, მთა-...ბისა და ბურჟუების დაქირავებულია, ...ი წესების მომხრეებია და ბატონ-...ბის აღდგენის სურვილით არიან გა-...თილიო. არ დაუჯეროთ მაგათ, არ ...ნოთ არ ალაპარაკოთ, არ შემოუშვათო ...ე ხალხი– შეუგნებელი ნაწილი გლე-...ბა ყვიროდა, მართალიაო და მის ...სუხვინოთ მტერთა საამოთ თვით ...ვე ინტერესების, თავისი ქვეყნისა ...როვნულ გრძნობათა და სიამაყის ...ალმდეგ მიდიოდა...

...რთველი ხალხი-ეს უძველესი ხალხ-...ბი დედა-მიწის ზურგზე, რომელსაც ...ს რამდენიმე ათასი წლის არსებო-... და ამ ათასი წლების განმავლობაში ...ს არსებობისთვის მედგარი და შეუ-...რი ბრძოლით, თავის ზნე-ჩვეულებით, ...სებური კულტურით, ისტორიული ...ებებით, გენიოსთა და მრავალ გმირ-...წარმოშობით, ქვეყნის მდიდარი და ...თხისებური ბუნებით; ერი, რომელ-...შესძლო გამკლავება ათას სხვადასხვა ... ბოროტებათა, ბარბაროსობათა, ...ობრიობის უსასტიკეს მტერთა და აუ-...ლ ბედისწერათა წინაალმდეგ და შე-...ნა თავისი ეროვნული ელფერი, ის

ერია, რომელსაც ყველა ერებზე უფრო მეტი უფლება აქვს მოითხოვოს ის უფლებანი, რომელიც სრულ-უფლებიან ერთ მინიჭებულიაქვთ.

მაგრამ მაშინ, როდესაც მას ხმის ამოღების უფლება მიეცა, არ ათქმევიეს ის, რაც მას უნდა ეთქვა; შეალახვიეს და შეაგინებიეს ის, რაც ყველასათვის უსაჰიროესსა და წმიდათა-წმიდას შეადგენს.

ბ. ჯაიანი.

# კ ვ ი რ ი კ ე.

ამყოლსააყევი და დამყოლს დაყევიო მართალი ნათქვამია... რას იზამ, ძალიანაც რო გაიქაჩო, თუ არ აყევ-დაყევი, პაიკივით მარტო დარჩები და, ახლა რო დროა, პაიკი ერთი კი არა ჯგუფათაც ვერაფერს აგვარებენ...

დიახ, ეს აყევ-დაყევი დროზეა ნათქვამი... დრო იყო, გურია სულ ურას იძახოდა:—წინ-წინ-წინ-წინ – ასე რეკდა იქაური ზარებიც კი... ახლა: —უკან-უკან უკან-უკან—ზრიალობს იგივე გაბზარული ზარები. და ამ წინ-წინს უწინარეს ყოვლისა, გურული სოფლის მასწავლებლები იყო რო რეკდენ, ესენი იყვენ „სტაროსტებიც„ მნათეებიც და მანათლობლებიც, მარა დრო შეიცვალა, გაიბზარა ზარი, ჩაუწყდა ხმა და მასწავლებლებმაც თანდათანობით უკან-უკან დაიხიეს... ამის მაგალითი დასტობით მიწყვია უჯრაში და რო მოვყვე წმ. აღდგომის კვირიაკემდიც ვერ მოვრჩები... ახლა ერთს მოგახსენებთ:

ერთ სოფელში ყოფილა ერთი მასწავლებელი, სახელათ ნიკიტა რქმევია... თქვენ, ეგება, იფიქროთ, ეს ან სამარის და ან ნოვღოროდის ღუბერნიიდან იყოს ვინმე ნიკიტა სამოდუროვი, ანუ ნიკიტა დუროვი... თქვენც არ მომიკვდეთ!— პირწავარდნილი და ღვიძლი, მკვდრი გურული ყოფილა ეს ნიკიტა... შეუჩნდა თურმე მავნე და ეშმაკი ამ ნიკიტას და იმდენი უკიტინა, რო ერთი დამტვრეული გიტარა ქონდა, ჩააგდებია ლატარიაში და გამართა ლხინი. ბანქო, ნარდი ღვინო და ფარეშებათ სულ მოწაფეები. გურიაში დამგვრეულ გიტარას ახლა, რამდენი გინდა, იმდენს იშოვი და ნიკიტაც თურმე ერთ კვირას არ გააცდენს, რო ლატარია არ გამართოს... და ფარეშებათ სულ მოწაფეები ყავსო. კაი გასართობია ამ არდადეგების დროს ბავშებისათვის... ჯან, ნიკიტა! დაილოცოს, ვინც შენ შეგიკირკიტა ასეთი აღმზდელობითი მნიშვნელობა ლატარია-ბანქონარდის, გეტყობა—არა ხარ ამყოლი დარდისა... დარდი—კი ბევრი უნდა გქონდეს ამჟამათ, როგორც მასწავლებელს და ისიც სოფლისას, მარა ამყოლს წუთისოფლისას, რა მოგეთხოვება მეტი. ცხადია, დრომ დაგასხა რეტი... უკან-უკან... დუქან-დუქან... ნარდი, ბანქო... როგორ გაქო?!.

ბიჭოს, ძაან ჩაულექსე ამ ბოლოს!.. რათ გინდა რა—ლექსები ფუთობით მოდის, მარა ამ ჩვენმა რედაქტორმა გააჰკვრა საქმე... თუ აითვალწუნა ვინმე, რაც უნდა ლექსი გამოგზავნოს, არ უბეჭდავს... „შეპანჩიკება“ რო ლექსს დაჰირდება, ის საკალათო უფროა ვიდრე საგაზეთოო და უკალათებს... მე მაინც ამოვაცოცე ერთი ლექსი კალათიდან, ცოტა შალაშინიც გავკარი და ზე მივაყოლებ ამ ჩემს დღევანდელ „კვირიკეში“.

**მდიდარი გალარიბებული.**

ლექსი ირ. ტოფაძისა კვირიკეს მიერ საკვირიკოთ „შეპანჩიკებული“.

სანამ მქონდა ჯიბე მსუქნათ,
სრა-პალატნი, დარბაზები,
დავდიოდი ხშირად დუქნათ,
მეხვეოდა ლამაზები.
წვრილი ხალხი ფეხს მლოკავდა.
საშუალო მცემდა თაყვანს,
მდიდარს გული უტოკავდა,
მოადენდა ჩემ წინ ბრაგვანს...
ახლა, როცა არ მაქვს ბისტი,
ვერ მამჩნევენ ძველებრ ქონსა,
ამიბუნტდენ, წამკრეს ქისტი–
ვერ მოვსულვარ ჯერაც გონსა...
ტანს მიფარავს ძველი კონკი,
აღარა მაქვს ბანათ ფაცხა...
ვისაც მოვახურე კლოკი,
მიძახიან—აცხა, აცხა!..

რა ცუდია ახლა ეს? ღმერთმანე, არაფელი უჰირს... და თუ უჰირს—ჩემზე იყოს!..

კვირიკე.

## მეორე კლასიანი სამასწავლებლო, თუ სამეურნეო შკოლა?

ამას წინათ იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს სხდომა ქონდა, რომელზეც უნდა განეხილათ შემდეგი საყურადღებო საკითხი: დარჩეს დ. ონში მეორეკლასიანი სამასწავლებლო სამრევლო შკოლა, თუ გადატანილ იქნას სხვა მაზრაში. როგორც მოახსენა საბჭოს იმერეთის ეპარქიის მეთვალყურემ ვ. ავერკიევმა, ონში ეს შკოლა, რომელიც გადაიტანეს შორაპნის მაზრის ს. ალისუბანიდან გასული წლის სეკტემბრიდან, არსებობს ჯერჯერობით ნაქირავებ სადგომში; მეთვალყურეს წელს მაისის დამლევს დაუთვალიერებია ეს შკოლა და უნახავს არა სასურველ მდგომარეობაში მოსწავლეთა რიცხვის სიმცირის გამო: თითოეულ კლასში 20 – 25 მოსწავლეა, მესამე კლასში გასათავებელ კურსზე მომავალი სამოსწავლო წლიდან იქნება მარტო სამი მოსწავლე, რომელთაც საკუთარი მასწავლებელი უნდა ეყოლოს; იმისი შეხედულობით მოსწავლეთა რიცხვის სიმცირე უნდა მიეწეროს იმ გარემოებას, რომ რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრი სასწავლებელს გულგრილათ ეკიდებაო, ამის გამო წინადადება მისცა სხდომას ყურადღება მიექცია ამ გარემოებისათვის და, თუ აჯობებდა, ეს შკოლა ონიდან გადმოიტანონ სად. საჯავახოს მახლობლათ ს. დაფნარში, სადაც იქაურმა მემამულემ ქუთაისელმა ვექილმა მიხეილ დარახველიძემ თავისი ხარჯით. ააგო მშვენიერი ქვიტკირის რვა ოთახიანი სახლი და შეწირა სასულიერო უწყებას სასწავლებლის დასაარსებლათო. ბევრი სხვადასხვა აზრი გამოითქვა, და ბოლოს საბჭომ დაადგინა—შკოლა დარჩეს და დამტკიცდეს დ. ონში და, თანახმათ ონელების თხოვნისა, მიეცეს მათ შენობის ასაგებათ სუბსიდია ათი ათას მანეთამდი ჯერჯერობით; ს. დაფნარში ბ-ნ დარახველიძის მიერ შემოწირულ შენობაში დაარსდეს ასეთივე მეორეკლასიანი სამოსწავლებელო სამრევლო შკოლა ნაცვლათ ს. ამაღლებაში დახურული ამგვარი ტიპის შკოლისა. ს. ამაღლებაში მთელი 15 წლის განმავლობაში არსებობდა ასეთი შკოლა ნაქირავებ შენობებში და გასულ წელში ოლქის მეთვალყურის მოხსენების თანახმათ უწმ. სინოდმა დახურა და კრედიტი კი დარჩა თავისუფალი, ბ-მა ავერკიევმა მოიწონა ეს აზრი და კიდევაც მიემხრო ამ გადაწყვეტილებას; ამის შესახებ ოქმი მოხსენებით მეორე დღესვე წაიღო ოლქის მეთვალყურესთან თფილისში.

ამ 15 წლის წინათ უწმ. სინოდმა წერა კითხვის შკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლათ დაარსა იმერეთის ეპარქიაში ასეთი ახალი ტიპის შკოლები ერთი ალისუბანში და მეორე ამაღლებაში (რიონ გაღმის მხარე); შკოლებმა იბოგინა გასული წლის სეკტემბრამდი, შემდეგ კი ერთი გადაიტანეს დ. ონში და მეორე მიხურეს. ამ გვარ შკოლებში სამი წლის კურსია ვრცელი პროგრამით; პირველ კლასში იღებენ ერთკლასიან სამრევლო შკოლაში კურს დამთავრებულებს, რომელნიც სამი წლის განმავლობაში ზერელედ ეცნობიან პროგრამას და შეთვისებით ვერაფერს ითვისებენ რაციონალურათ; სამ წლის შემდეგ ეძლევათ მოწმობა წერა კითხვის შკოლების მასწავლებლისა, სამრევლო შკოლებში კი არა აქვთ უფლება, უკეთუ შემდეგ არ დაიჭირეს განსაკუთრებით ეგზამენი სასულიერო სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოში. ამგვარათ ისინი სრულიად მოუმზადებელი გამოდიან ასპარეზზე და არც სხვა საქმისთვის ვარგიან, რჩებიან ცხოვრებაში გარიყული და დაბეჩავებული. ჩემის აზრით ასეთი ტიპის შკოლებს ნაკლები სარგებლობა მოაქვს, ამიტომ სასურველი იყო, რომ ს. დაფნარში პატივცემულ მიხეილ დარახველიძეს დაეარსებია იმ კუთხის მცხოვრებთათვის დაბალი სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც დიდ სარგებლობას მოუტანდა ხალხს, რადგანაც ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა და დღეს ასეთი სასწავლებლები უფრო ეჭირვება მას.

ლადო ბზვანელი.

# ქუთაისის ქალთა საზოგადოება.

1913 წელს 12 ივნისს ქუთაისის ქალთა საზოგადოების წლიურ კრებაზე შემდეგი პირნი აირჩიეს.

თავჯდომარეთ—კნ. ელენე წულუკიძისა თავჯდომარის ამხანაგათ—ოლგა ქორქაშვილის ასული ხაზინადრათ– ანასტასია ყიფიანისა.

**მდივნებათ**: (ნატალია ქორქაშვილის ასული და რიტა სიდავას ასული.

**წევრებათ**: ელენე ჩიქოვანისა, ნინო ბადრიძისა, ელისაბედ ბარათაშვილისა, მარიამ ვარდოსანიძის ასული, ნინო ფანცხავასი, მარგალიტა ჭილაძისა, ქეთო წერეთლისა, სოფიო მაჰავარიანისა, ოლდოსია თავდგირიძის ასული, მარიამ ბუტულაშვილის ასული.

**სარევიზიო კომისიაში**: ელენე კლდიაშვილისა, მარიამ კლდიაშვილის ასული, იულია მიქელაძისა, თეოდორა ჯაყელისა და ელენე შეფისოვის ასული.

**ამათ კანდიდატებათ**: ელისაბედ ჩიჩუაანის ასული, ნინო მიქელაძის ასული, ელენე ბახტაძის ასული და როზა სიდავას ასული.

ამავე საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას სწირავს ყველა იმ პირთ, ვინც მთელი წლის გამავლობაში კრებას რეფერატი წაუკითხა: ბ.ბ. ანტონ ფურცელაძეს, გიორ. ბადრიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, კიტ. აბაშიძეს, ვას. წერეთელს და ალექ. გარსევანიშვილს; ამავე დროს რამდენიმე ქალმაც წაიკითხა რეფერატი. დიდ მადლობას სწირავს გამგეობა ბ. ივანე პურადაშვილს, რომელმაც სარევიზიო კომისიასთან ერთად რევიზია გაუკეთა მთელ გამგეობის მოქმედებას და შემოსავალ გასავალის დავთრებს.

**ქუთ. ქალთა საზოგადოების გამგეობა.**

# რუსეთი.

**ჯარისკაცის თვითმკვლელობა**. ქ. დვინსკში, ივნისის 9-ს, საღამო ხანს თავის ამხანაგებთან ერთად ბრუნდებოდა ყაზარმაში 26-ე არტილერიის ბრიგადის ჯარისკაცი ლაზარევი. სადგ. „დვინსკ-პეტერბურგის“ ახლოს ჩამორჩა ამხანაგებს, ერთი კი დაუძახა: „მშვიდობით, ამხანაგებოვო!“ და მიმავალ მატარებელს ჩაუვარდა თვლებში. საწყალი, შუა გასწყვიტა მატარებელმა ამხანაგებისა და მრავალი ხალხის თვალწინ. თავის მოკვლის მიზეზათ აფიცრის შენიშვნას ამბობენ ქალაქში,, რაც დაწვრილებით უნდა მოეხსენებია პირდაპირი უფროსისათვის.

**„კურიოზები“**. სადგ. ივანოვოზე ამას წინათ რამდენიმე ვაგონი ლუდი მოსულა. 20 კასრი ლუდი წამხდარა გზაში, რადგან პეტერბურგიდან სადგ. ივანოვომდი 12 დღეს დაგვიანებია და დამჟავებულა. ექსპერტებს და აქიმებს დაუდგენიათ გადაიქცეს მთელი ლუდი და იქვე თხრილში ჩაუშვიათ. ახლო მცხოვრებთაც ეს უნდოდათ თურმე: ზოგს კასრით მიქონდა თხრილიდან, ზოგს დოქებით და ზოგს რით. ზოგიერთები იქვე, თხრილში დაეწაფენ და გემოზე გამოიმრუშენ. ქუჩები გაივსო გალეშილი ხალხით და ბევრი მოხვდა პოლიციაში გამოსაფხიზლებლათ.

**ებრაელ-პოლონელთა დამოკიდებულება.** გაზ. „პრავდას“ ატყობინებენ ვარშავიდან, რომ სოსნოვიცის მახლობლათ, სოფ. მოჯეეკაში ხშირათ ცეცხლს უკიდებენ ებრაელთა სახლკარს 11—15 წლის ბავშებიო. დატუსაღებული ბავშები გამოტყდენ, რომ დიდები აქეზებდენ მათ.

**გაზ. „ზემშჩინას“ თანამშრომელი სათათბიროში**. სათათბიროს თავჯდომარემ გაზ. „ზემშჩინას“ თანამშრომელს—ტიხმენევს აუკრძალა კრებებზე დასწრება, რომელმაც ფელეტონი მოათავსა გაზეთში, რომ დეპუტატები ეარშიყებიან სათათბიროში მოსამსახურე ქალებსო.

---

— მარო, ტუჩები მომე, მწყურია! ...ა, მე გაკოცებ!!.

— არადროს!

— მარო, გიყვარვარ?!

— ხა, ხა, ხა. სულელი! მეორეთ აღარ ...კითხო. განა არ იცი, რომ მე სიყვა-...ლი არ შემიძლია. არა მეთქი. იცი ...ჩემში სხვა ჟინია, თუ გნებავს გაი-...მამაკაცის—დონ-ჟუანის. თუ ამდენი ...მამაკაცები იყვნენ დონ-ჟუანები, ...ქალიც უნდა გამოვიდეს ისეთი...

— მარო, შენ დონ-ჟუანი ვერ იქნე-...ენ სქესი გიშლის ხელს, ამიტომ შე-...ე, გახდი ჩემი ცოლი, შემიყვარე!—...ებოდა ნიკო.

— ხა, ხა, ხა. სასაცილოა, რატომაც ...

— შენ ქალი ხარ და მიტომ, ბუნებას ...ნირათ მოუწყვია ქალის პიროვნება, ...როგორც ხორციელათ, ისე სულიერათ.

— ჰმ, განა მაგდალინელი, ბერძენთა ...ტერები, თუ გინდ დღევანდელი ზოგი-... ქალები აიღეთ—უშვილონი არ ... და არ არიან... მე მაგის არ მეში-... და ამის საბუთიც მაქვს... დღევან-... მედიცინის განვითარების წყალო-... მაგასაც აიშორებს კაცი თავიდან... ...თანამედროვე ქალი შორს წავალ ...ლინელზე, გადავაჭარბებ მესელი-... იმათ სიყვარული მაინც შეეძლოთ, ... ამასაც დავგმობ. დიახ, მე დონ-... ვარ, მაგრამ ქალი, რომელსაც გა-...ბით მეტი ძალა მექნება მამაკაცზე. ნიკო, მხოლოდ ამეღამ ხარ შენ **ჩემი**,— ხვალ კი ახლოსაც არ მიგიკარებ. იცი, ამეღამ ხარ ნიკო შენ **ჩემი** და არა მე **შენი**. შენ ჩემდამი სიყვარულით ხარ, როგორც გატყობ, ანთებული, არა? ხელი აიღე, ნუ იფიქრებ: მაგრამ, შეიძლება, ტყუილა იძახი მიყვარხარო, მაგით გინდა ჩემი გული მოიგო... არა, შენთვის შეინახე... მე არ მინდა შენი სიყვარული.

— მარო, შემიყვარე...

— ხა, ხა, ხა... სულელო, მგლის თავზე სახარების კითხვა გამომივიდა—და ამ სიტყვებთან ნიკოს ტუჩებს დაეწაფა.

მე ვკანკალებდი, რაღაც გამოურკვეველმა შიშმა შემიპყრო. პირველათ ვხედავდი ასეთ ქალს. მოვშორდი იქაურობას და შინისკენ გამოვსწიე...

— სად დაიკარგე?—შესვლისთანავე დამეკითხა პანო.

ხმა ძლივს ამოვიღე.

— რა ტიპის ქალია, მარო?—შევეკითხე პანოს.

— მოგაჯადოვა?! გადაიხარხარა. კაცების მონადირეა. ყმაწვილს, რომელიც მოეწონება, ბადეს ესვრის, დაიჭერს თევზივით და ალერსს შემდეგ დულარეში გადაისვრის.

— ვინ არის?

— ცოლია, მაგრამ ქმართან არ ცხოვრობს.

მე მეტი აღარა მიკითხავს, ისევ ტახტზე წამოვწექი და მაროს პიროვნების გარკვევას შევუდექი, რომ კარგათ გამესინჯა მისი არსება, და იმ დასკვნამდი მივედი, რომ მარო სწორეთ მამაკაცებზე მონადირე იყო, მაგრამ მონადირე სასტიკი—ამაყი. ამიტომ გადავწყვიტე, რომ რაც უნდა დამმართოდა ხელში არ ჩავარდნოდი და ჩემი პიროვნება არ დამემცირებია. მე უფრო მისი სიტყვები მხვდებოდა გულში, რომ ყოველი მამაკაცი **მისი** უნდა ყოფილიყო და არა **იგი** მამაკაცის. ნუთუ შეუძლია ეს ქალს. არა. რაც უნდა სოქვას, იგი ქალია, ქალია. მაგრამ ჩემი თავმოყვარეობა მაინც არ ისვენებდა, რადგან მას ხომ შეეძლო ეთქვა ის, რაც აქამდი მამაკაცს შეეძლო დაეტრაბახა. ფიქრმა უფრო წამიღო. ჩავთვლიმე, უცებ მარო გამომეცხადა... მოიჭმუხნა, მერე გამიღიმა... მინდოდა დამეყვირა—არ მომეკარო-თქო...

— შენ ჩემი იქნები! ჩამომძახა და ტუჩებში მაკოცა. გაქრა. გამომეღვიძა. დაფეთებულმა მიმოვიხედე. ჩემი სულიერი მშვიდობა უკვე დარღვეული იყო...

გ.

აგარაკს გვერდით პაწა მდინარე ჩაუდიოდა: მეორე დღეს გადახრილი იყო, ოთახს მოვშორდი და მდინარეს მივაშურე, რადგან ტანის დაბანა მსურდა.

ვერხვებსა და ტირიფებს მივუახლოვდი... მდინარის ნაპირას მარო იდგა და პერანგს იცვამდა. თეთრი თოლივით პერანგი თეთრ ტანზე შემოკვროდა, ტანის ყოველი ნაკვეთი მკაფიოთ ისახებოდა... ეს შეხვედრა ისეთი უცაბედი იყო, რომ გავწითლდი და თვალი მოვარიდე.

უცებ ჩემი სახელი მომესმა.

— სიკო, მოიცადე, ახლავე მოვალ.

თავში ალი ამივარდა. ლონემიხდილი ვერხვის ძირას დავეშვი. გაიარა რამდენიმე წამმა და მარო ღიმილით გვერდით მომიჯდა.

— განა მიმზერდი, რო ვბანაობდი?!

შემრცხვა. არაფერი ვუპასუხე... ავღელდი. რა მომხიბლავი რამ იყო... მიტაცებდა, მწვავდა, ნაკვერჩხალი იყო... რომელიც ტვინში შემივარდა და ცეცხლი გააჩინა; ალი ტანს მომედვა და მთელმა სხეულმა ტანჯვა იწყო... და ეს ტანჯვა ჩემთვის სიტკბოება იყო...

ტყუილა ვფიქრობდი მის უარყოფას. იმ წამში სრულიად არ მახსოვდა მისი სიტყვები და მისი სიყვარულით დამწვარი მის წინ გავენართხე.

— მარო, მიყვარხარ... წამოვიყვირე მაროს საზარელი სიტყვა და ხელს ვწვდი საკოცნელათ... მარო უეცრათ წამოიჭრა...

— ამ საღამოს ამ ადგილს დამხვდი... და გაქრა...

მარტო დავრჩი და ბრაზმა შემიპყრო. რა ვქენი! ეს იყო ჩემი თავმოყვარეობა?! გადავსწყვიტე საღამოს არ წასულიყავი. მაგრამ რამდენი წამიც გადიოდა, ჩემი გული ნეტარებასა გრძნობდა, თან ვიტანჯოდი. საღამოს, თითქოს ჩემდაუნებურათ დანიშნულ ადგილს გავჩნდი. მარო მოვიდა. სიცილით თვალებში მომჩერებოდა, ხან კი ტუჩს ზევით აათამაშებდა, თითქო მეკითხებოდა,—ვინ მოგიწვია, რათ მობრძანდიო! მაგრამ მისი სიამაყე, მისი ღიმილი ყურში ჩამძახოდა:—დაგიბარე, მოდი—შენ **ჩემი** ხარო. ეს წამებაც იყო. მაგრამ მისი სიახლოვე მწვავდა, ისეთი ძლიერებით გაშლილიყო ჩემს გულში მისი ტრფობა, რომ ყოვლათ უძლური გამოვდექი...

— მარო, გიყვარ...

— ციც... გამაწყვეტინა და თითით დამემუქრა. . . . . . . .

. . . . . . . . .

— როდის ვნახავთ ხოლმე ერთმანეთს?!

— ყოველდღე, ბაღში, შინ...

— არა... როდის... ასე... ერთად?..

— არადროს, არაოდეს...

და გადაიხარხარა... სისხლი თავში ამივარდა. მაგრამ რა მექნა, ნუთუ:—ყვავს რო კაკალს გააგდებინებ, ისეც კარგია... მაგრამ მევე შემრცხვა ჩემი შედარებისა და კვლავ ბრაზმა შემიპყრო... შემდეგ ისევ ტკბილი რამ ძალა ტანს შემომედვა. მისმა ეშხმა გამიტაცა... და... ხელი მკრა, ხეებში გაქრა. თავს ვიწყევლიდი. აღარაფერზე აღარ ვფიქრობდი...

ჭოტი მდინარის შხუილთან ერთად გესლითა და სიმწარით გალესილ მაროს სიტყვებს ჩამძახოდა: „შენ ჩემი იყავ“...

დია ჩიანელი,

სოფ. დიმი.

**მიღებულია:**
რკინის კოჭები შენობისთვის (Дутавровыя балки)
ნამდვილი ბახმუტის ალიბასტრი.
✖✖ იყიდება ზომიერ ფასათ ✖✖

# სავაჭრო სახლი ი. გოკიელის შვილების ქუთაისში

ბორჯომის წყალი

| | | 1 ბოთლი | 10 ბოთ. | |
|---|---|---|---|---|
| | 1/1 | 25 კ. | 2 მ. 40 კ. | 11 |
| | 1/2 | 16½ კ. | 1 მ. 60 კ. | 15 |
| ნარზანი ფსნ-ტუკი № 20 | 1/2 | 14½ კ. | 1 მ. 40 კ. | 13 |

ავეჯეულობისა და ჭურჭლეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში.

# ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩ…

გაიხსნა სპეციალური განყოფილება ელექტრონის მოსაწყობი მასალების და არმატურებისა, რაც ყოველთვის უმაღლესი ხარისხის მოგვეპოება ცნობილი ფირმებისაგან. აგრეთვე ვკის… სახლის ავეჯით და ელექტრონის გასანათებელი მავთულების მოწყობას; ყოველთვის მოგვეპოება მსურველთათვის სპეციალისტი მონტიორები, ჩვენი მასალების ხარისხის სიკეთ… ვკისრულობთ. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.

პატივის ცემით ფ. ს. ფილიპოვი.

## უცხოეთი.

**ინციდენტი გემზე.** ავსტრიის გემი ჯურჯევკაში შეჩერდა მდ. დუნაიზე. 40 ბულგარელ ჯარის კაცთა შორის ორმა ეროვნებით ოსმალომ მოინდომა გემიდან გაპარვა. ბულგარელი უნტერ-ოფიცერი დაედევნა, მაგრამ რუმინელმა ჯარის კაცებმა შეიპყრეს იგი.

ბულგარელ ჯარისკაცებმა აიჯეულობა მოახთინეს და წინადადება მისცეს კაპიტანს, რომ ჯურჯევიდან წასვლის ნებას არ მისცემენ, თუ რუმინიის მთავრობა არ გაათავისუფლებს იმათ უფროს.

ავსტრო-უნგრეთის ელჩი ჩაერია საქმეში და უნტერ-ოფიცერიც გაათავისუფლეს.

**ანარქისტის პროცესი მადრიდში.** დაიწყო ანარქისტ სანხეცის საქმის გარჩევა, რომელმაც მაისის დასაწყისში მეფის მოკვლა განიზრახა. სასამართლოს დარბაზს ჯარის კაცნი იცავენ. სანხეცი თავ-აწეული და პირზე ღიმილით შემოვიდა დარბაზში. კითხვებზე დამშვიდებული უპასუხებდა და აუხსნა, რომ ჯგუფები, სადაც ის პატარაობიდანვე მუშაობდა, არ იზიარებდენ ანარქისტთა შეხედულებას. ამას წინათ წერილი გაუგზავნა გაყრილ ცოლს და სთხოვდა შერიგებას. პარადი რომ დაიწყო, მეფის ეტლთან ძლიერ ახლოს იდგა. აზრათ არ ქონია მეფის მოკვლა, თვარა სულ ადვილათ შეეძლო განზრახვის სისრულეში მოყვანა. რამდენიმე მოწმე ამბობს. რომ სანხეცი არანორმალური ადამიანიაო. ცოლმა და ნათესავებმა გაიცხადეს, რომ სახნეცს ბნედა უვლისო.

## მშრომელი ხალხი.

— რადომში ეკონომიურ ნიადაგზე „ვოიცეხოვის“ ამხანაგობის ათასამდი მუშა გაიფიცა.

— იალტაში, ჩაის პლანტაციის მეპატრონე ჰასანი სამართალში მისცეს, რადგან მუშების სადგომებს ბინძურათ ინახავდა.

— ამხ. „პერენუდის“ მუშები (მოსკოვში) გაიფიცენ და მოითხოვენ ოსტატ-სპანელის დათხოვას.

— ლანგეზიპენის ქარხნის მუშებმა (პეტერბურგში) გადასწყვიტეს განაგძონ გაფიცვა, სანამ ყველა მათი მოთხოვნილება არ იქნება დაკმაყოფილებული.

— ფრანგ-რუსთა ამხანაგობის მუშებმა დაადგინეს, აღკვეთონ მაგარი სასმელების ხმარება, სანამ გაფიცვა არ დაბოლავდება.

## ქალთა მოძრაობა.

### რუსეთი.

**შუამდგომლობა.** ვინმე ტიხონოვის მეუღლემ შუამდგომლობა აღძრა სახალხო განათლების მინისტრის წინაშე შესახებ იმისა, რომ მას ნება დართონ ეკატერინოსლავში ქალთა უმაღლესი კურსების გახსნისა. კურსები მიმდინარე წლის სეკტემბერში უნდა გაიხსნას და პირველ ხანათ გაიხსნება საექიმო, ფიზიკო-მატემატიკური და უცხო ენათა ფაკულტეტი. შემდეგ წელს კი იურიდიულ და ისტორიაფილოლოგიურ ფაკულტეტსაც გახსნიან. კურსებზე მიღების წესი ჩვეულებრივი იქნება.

**შეწირულობა.** ა. შახოვმა ქალთა დამხმარე საზოგადოებას ვალების გასასტუმრებლათ ათი ათასი მანეთი შესწირა. მანვე შესწირა ქალთა უმაღლეს კურსებს 5 ათასი მანეთი იმ პირობით, რომ ამ ფულით ბიოლოგიური მუზეუმისთვის საჭირო ნივთები შეიძინონ.

**დაპატიმრება.** პოლონელთა შორის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ტულავეცკის ასული პოლონელ ქალებთან საუბრის გამართვისთვის 12 დღით დააპატიმრეს.

**წვრილი კრედიტის საზოგადოება.** ოდესაში საზოგადო მოღვაწე ქალთა ერთი ჯგუფი წვრილი კრედიტის საზოგადოების დაარსების განზრახვით საჭირო წესდებას ამუშავებს. საზოგადოების გამგეობაში მხოლოდ ქალები იქნებიან და ფულს სესხათ მხოლოდ ქალებს მისცემენ.

### უცხოეთი.

**სუფრაჟისტი ქალი გადასახადების მომკრები.** შეერთებული შტატების მთავრობამ გადასახადების მომკრებათ სუფრაჟისტი ქალი დანიშნა და ჯამაგირათ 15 ათას ფრანკს აძლევს წელიწადში. ფინანსის მინისტრის აზრით ფულის საქმეში დედაკაცები უფრო სანდო არიან ვიდრე მამაკაცნიო.

**გაფიცვა.** ამერიკაში მოსალოდნელია მოსამსახურე ქალთა დიდი გაფიცვა. მოსამსახურე ქალთა სინდიკატმა მოთხოვნილების მუხლ… უკვე შეიმუშავა. თუ მოთხოვნილება არ დააკმაყოფილეს ამერიკის ყოველ კუთხეში მოსამსახურე ქალთა გაფიცვა გამოცხადდება. თხოულობენ სხვათა შორის 10 საათის სამუშაო დღის დაკანონებას და კვირაში ერთი დღის თავისუფლებას.

**მზარეულ ქალთა გაფიცვა.** ჩიკაგოში ყველა მზარეული ქალი გაიფიცა. გაფიცული ქალები თხოულობენ—ჩვენს მოვალეობას არ შეადგენდეს ძაღლების ბანა და ბატონის ტანზე ღილ-დუგმების შებნევაო. თანამედროვე მოდის ტანისამოსს 200—300 ღილი და დოგმა აქვს და მათი შებნევით თითის წვერებზე კანი გადაგვცვთაო.

**სუფრაჟისტი ქალები ინგლისში.** ლონდონში ხალხის ბრბომ ჰაიდ-პარკიდან სუფრაჟისტი ქალები ქვის სროლით გამორეკა. ხალხმა სუფრაჟისტი ქალები ლონდონის აღმოსავლეთ ნაწილშიც არ გაატარა. ცხენოსანმა პოლიციელებმა ძლივს დაიხსნეს ისინი ხალხისგან.

**საფრანგეთი.** საფრანგეთში პარიზის მუნიციპალურმა საპჭომ ერთხმად შეიწყნარა სურვილი, რომ ქალებს მუნიციპალურ არჩევანში საარჩევნო ხმა მიეცესთ.

**ნორვეგია.** მიიღეს პროექტი, რომლის ძალითაც არჩევნებში იმდენი ხმა ეძლევა ქალებს, რამდენიც მამაკაცებს აქვთ.

## ნარევი.

**საყურადღებო ანკეტა.** პეტერბურგის ერთმა გაზეთმა ანკეტა მოახდინა იმის შესახებ, თუ რუს მგოსნებ შორის ვინ უფრო მეტი სახელით სარგებლობს. ამ მიზნით შეკითხვაზე 3497 პირისაგან მიიღეს პასუხი. ყველაზე მეტი ხმა (2361) მიუღია ბალმონტს.

**უქუდოთ სიარული.** გერმანიაში ვაჟთა ტანისამოსის შემცვლელი საზოგადოება არსებობს. ამ საზოგადოებამ გაზეთებს შემდეგი მოწოდება გაუგზავნა: სიცხეების დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ტანისამოსის ჰიგიენურათ ჩაცმას. სიცხეში ქუდის დახურვა მავნებელია. ამგვარი ჩვეულების მავნებლობა შეიგნეს ამერიკაში და სიცხეების დროს იქ თავშიშველი დადიან. გერმანელებიც თავს აღწევენ ცრუ ჩვეულებას; დრეზდენსა, ბონსა და სხვა გერმანიის ქალაქებში არსებობს კავშირი, რომლის მიზანია შეაჩვიოს ხალხი უქუდოთ სიარულს. ვინც მზის სხივებს ვერ უძლებს, მან ქუდის ნაცვლათ ქოლგა ატაროსო.

რედაქტორ-გამომცემელი **გ. ჰელიძე.**

გამოცდილი მოანგარიშე

# ღაემეზს

მოანგარიშის ადგილს რომელიმე სავაჭრო დაწესებულებაში.
იკითხეთ: ვორონცოვის ქუჩაზე, მოვაჭრე მაქსიმე მანაგაძესთან.

## რკინის გზა

| ქუთაისიდან მიდის. | | ქუთაისს მოდის. | |
|---|---|---|---|
| **თფილისს:** | სახალხო 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ. | **ოფილისიდან:** | სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 წ. საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით. |
| **ბათომს:** | სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ, 11 ს. 27 წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ. | **ბათომიდგან:** | ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; სახ. 7 საათ. დილ. |
| **ფოთს:** | საავარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10 წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. საღ.; სახ. 7 ს. 56 წ. საღ. | **ფოთიდან:** | საავ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 ს. 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ. |
| **შორაპანს:** | საავარ. 4 ს. 57 წ. დღ. | **შორაპნიდან:** | საავ. 9 ს. 31 წ. დილ. |
| **ტყიბულს:** | სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ. | **ტყიბულიდან.** | სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. 11 საათ. 9 წ. დღლ. |

# გ. გორდაძის და ს. წერეთლის

ერთად ერთი წარმომადგენელნი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს მის ნეჩაუ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „бемское“ რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმოსაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

# Имѣете дѣло съ самымъ авторомъ,

но не алчущими наживы издателями.



**великія тайны гипноза!**

НАША СИЛА ВНУТРИ НА…

ХОТИТЕ ЛИ ВЫ ПОДЧИНЯТЬ ЛЮДЕЙ СВОЕИ ВО… ВЛАДѢЯ ВЕЛИКОЙ ТАЙНОЙ СИЛОЙ?

Я, Психо-Френологъ Х. М. Шиллеръ-Школьникъ, даю д… тельно полный курсъ гипнотизма, большой томъ, въ бо… съ золотымъ тисненіемъ переплетѣ **вмѣсто 12 р. только за 2 р.**

Мой курсъ заключаетъ въ себѣ много цѣннаго и новаго въ области ги…зма. Мое произведеніе ведетъ къ самоусовершенствованію, учитъ влiять и … вать на окружающихъ посредст. внушенія въ состояніи бодрствованія.

Мой курсъ содержитъ въ себѣ 98 важнѣйшихъ главъ. Онъ учитъ влiят… ствовать и внушать безъ усыпленія. Только въ моемъ курсѣ имѣется обширн… дѣлъ чтенія чужихъ мыслей.

Въ немъ широко разработаны отдѣлы: лѣченіе посредствомъ открытаг… шенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма, неврастеній, головной … безсонницы. недержаніе мочи, заиканія и проч.

Самовнушеніе. Быстрое предотвращеніе страха. Укрѣпленіе памяти и у… ніе разсѣянности.

Произведеніе это замѣчательно и рѣзко отличается отъ всѣхъ прочихъ … этого рода своей общепонятностью. По отзывамъ лицъ, пользующихся этим… сомъ гипнотизма, онъ раскрываетъ новый невѣдомый міръ, поднимаетъ дух… строеніе, даетъ силу, мощь, ведетъ къ счастью и довольству. Роскошное зд… множествомъ рисунковъ, съ портретомъ автора и знамѣнитѣйшихъ медіумов… прохожденія моего курса не требуется никакихъ особенныхъ знаній. Онъ при… неоцѣнимую пользу мужчинамъ и женщинамъ, старымъ и молодымъ, богатым… днымъ, сильнымъ и слабымъ, здоровымъ и больнымъ. Мой курсъ вышелъ … значительно увеличеннымъ, исправленнымъ и дополненнымъ изданіемъ.

Въ курсѣ заключается слѣдующее содержаніе: 1) Введеніе. 2) Что тако… нотизмъ. 3) Исторія гипнотизма 4) Чѣмъ долженъ быть гипнотизеръ 5) К… гипнотизируемой личности. 6) Средства и методы гипнотизма. 7) Дѣйствіе … тизера на гипнотизируемую личность. 8) Гипнотическій сонъ, 9) Пробужде… Что чувствуетъ и испытываетъ усыпленный посредствомъ гипнотизма. 11) … ваніе чужихъ мыслей. 12) Какъ развитъ способность чтенія мыслей. 13) Ме… способы чтенія мыслей. 14) Что способствуетъ удачнымъ экспериментамъ. 15… мѣшаетъ удачнымъ опытамъ. 16) Какъ влiять, дѣйствовать и внушать безъ у… нія въ состояніи бодрствованія. 17) Опыты открытаго внушенія. 18) Лѣчені… средствомъ открытаго внушенія пьянства, куренія, азартной игры, онанизма, … стеніи, головной боли, безсоницы, недержаніи мочи, заиканія и проч. 19) Са… шеніе. 20) Быстрое предотвращеніе страха. 21) Укрѣпленіе памяти и уст… разсѣянности. 22) Совѣты намѣревающихся публично демонстрировать опыт… нотизма. 23) Побѣда мысли. 24) Пріемы и упражненія. 25) Путь къ счастью … вольству и пр. пр. Прошу не сравнивать съ московскими и иными лубочн… даніями, я даю за 2 р. вполнѣ законченный курсъ, никакихъ добавочныхъ л… расходовъ не требуется. Брошюра съ отзывами и благодарности ученыхъ, в… поставленныхъ и знатныхъ особъ прилагается при всякомъ заказѣ. Здѣсь за… ніемъ мѣста для убѣжденія приводятся лишь нѣкоторые.

## Читайте!

Священикъ от. Василій Спѣвачевскій, почт. ст. Улановъ, Под. губ.: „… чтимый господинъ Х. М. Шиллеръ-Школьникъ. Книгу вашу „Гипнотизмъ“ по… и прочелъ и искренно благодарю. При чтеніи книги мнѣ нѣкоторымъ образ… крылась завѣса тайнъ человѣческаго существа, которыя до извѣстной грани… гутъ быть постигнуты и подвластны человѣку. Я глубоко увѣренъ въ гуман… добрыхъ намѣреніяхъ Вашей дѣятельности и поэтому остаюсь съ искренним… женіемъ священникъ Василій Спѣвачевскій“.

Василій Өедоровичъ Кремповскій Новороссійскъ, контора инженера Щ… вича пишетъ: Присланнымъ Вами курсомъ гипнотизма очень интересуюсь, … юсь и благодарю васъ, чувствуя себя гораздо лучше. Мой братъ также пол… Вашимъ курсомъ и также очень доволенъ. Съ совершен. почт. Кремповскій.

В. В. Королевъ, Савино. „За курсъ гипптоизма ничего, кромѣ безгра… благодарности и сердечнаго „спасибо“ сказать не могу и лучшей благодарно… придумаю. Книга поражаетъ ясностью изложенія и цѣнностью ея содержані… всемъ этомъ она значительно и роскошно иллюстрирована въ богатомъ пер… и такая минимальнея цѣна, какъ 2 р., какую Вы назначили, свидѣтельст… Вашемъ благомъ намѣреніи широко распространить эти драгоцѣнныя для … свѣдѣнія и совѣты среди интересующихся, въ чемъ отъ души желаю Вамъ успѣха. Пребываю съ высокимъ почтеніемъ къ Вамъ В. В. Королевъ“.

Ермолай Алексѣевичъ Фроловъ. гор. Илекъ, Уральской обл., пишетъ: … коуважаемый г. Шиллеръ-Школьникъ. Вашъ курсъ гипнотизма осчастливилъ … я достигъ блестящихъ результатовъ по гипнотизму. Я вылѣчилъ многихъ отъ … ныхъ болѣзней и дурныхъ привычекъ. Никакой кладъ и богатство не могу… вниться съ пріобрѣтенными мною отъ Васъ познаніми. Я остаюсь искренно … дарный и всегда готовый рекомендовать Вашъ курсъ, который можетъ пр… большую пользу всѣмъ. Покорный слуга Фроловъ“.

Еслибы Вы захотѣли, для убѣжденія, обратиться къ кому либо изъ вы… менованныхъ лицъ, то приложите къ письму конвертъ съ Вашимъ адресомъ и … еной маркой. Восторженные отзывы, и благодарности отъ частныхъ лицъ … ются ежедневно; у насъ ихъ множество, подлинники предъявляются во всяк… мя всѣмъ желающимъ у насъ въ конторѣ. Но кромѣ частныхъ отзывовъ и … дарностей, вотъ что пишетъ солидный с.-петербургскій оккультный журналъ … ДА“, издаваемый извѣстнымъ ученымъ знатокомъ оккультизма И. К. Антош… во второмъ номерѣ журнала за ноябрь 1910 г.: „Гипнотизмъ Х. М. Ш… Школьника, изящно изданная книга знакомитъ читателя, какъ теоріей, так… практическими пріемами гипнотизма. Среди множества сочиненій и лекціи … нотизму эта книга заслуживаетъ особеннаго вниманія, благодаря весьма п… ному изложенію сущности гипнотизма. Несмотря на сравнительно невысокую … эта книга вполнѣ замѣняетъ дорого стоящія изданія американ. институтов…

Полный курсъ со всѣми приложеніями высылается за 2 руб. Деньги пр… переводомъ, можно марками, только заказнымъ письмомъ, въ темномъ ко… плотно оклейвать края мелькими марками, Наложеннымъ платежомъ па 30 … роже. Писать свою фамилію и адресъ ясно и разборчиво.‘

Нашъ адресъ: Варшава, Психо-Френологу Х М. Шиллеръ-Школьнику Пенкна…

# აბანო

## მმ. ყორყოლაძეებისა

მიმართეთ პირდაპირ

15 მაისიდან გაიხსნა შესანიშნავი მადნეული წყალი.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნა… სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭის … თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თბილ… ფასი ხელმისაწდომი. ხრესილის რკ. გზ. სადგურიდან ორმოცდაათ… საჟენის მანძილზე. იქვე სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი.

სტამბა „ძმობა“ კაზაკოვის ქუჩა სახლი № 17.